სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 20

ქ. ბათუმი 27 მარტი 2023 წელი

ერთის მხრივ,სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა,(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მარიზა აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ შპს " ორანიე ლეუ "მისი დირექტორის ინგა ჩიკვაიძე ლომაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: 1) **CPV-798000000** ;შემდგომში – საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საქონლის დეტალური აღწერა მოცემულია დანართი N1-ში რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს,

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **345 (სამასორმოცდახუთ) ლარს.**
2.2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი(ვაუჩერი);

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორის მ/შ.
4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულადმხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მოწოდების ადგილია: ქ.ბათუმი გორგილაძის ქ.#21

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელმოწერის დღიდან 5 დღის ვადაში;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2023 წლის27 აპრილის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ.ქ.ბათუმის N2 საჯარო სკოლა	შპს „ორანიე ლეუ”
მის: ქ.ბათუმი ხ.ახვლედიანის ქ.#19	მის; ქ.ბათუმი ზ.გორგილაძისქ.21
საიდენტიფიკაციო კოდი 245429488	საიდენტიფიკაციო კოდი: 445395965
ბანკი:საქართველოს ბანკი ცენტ/ფილილალი	ბანკი:საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE48BG0000000119964500	ა/ა GE22BG0000000621483100
დირექტორის მ/შ	დირექტორი
მარიზა აბაშიძე	ინგა ჩიკვაიძე ლომაძე

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი	CPV-კოდი
სტიკერის ბეჭდვა	ცალი	4.6	75	345	79800000
ჯამი				345	

დირექტორის მ/შ :მარიზა აბაშიძე

დირექტორი : ინგა ჩიკვაიძე ლომაძე